

რედაქცია

ბანოვის ქუჩაზე, სტ. მელიქიშვილის-სტამბაში, ამატუნის სახლებში.

ხელის-მოწერა

რედაქციაში და სტ. მელიქიშვილის სტამბაში. შალაქს ვარეშე მცხოვრებთათვის: ВЪ Типографіи конторы редакціи газетъ „Дროება“, при типографіи Меликова.

ბაზემის უასი

წელიწადში — 8 მან., ნახევარ წელიწადში — 4 მან. და 50 კაპ., თვეში — 1 მან. ცალკე ნომერი — ერთი შაური.


ბანსადგმა

მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და ფრანგულს ენებზე.

ბანსადგმის ჟანრები

დიდი ასოებით, ასოზე — 1 კაპ., ასო-მთავრულით სტრიქონზე — 8 კაპ., ციცეროთი, სტრიქონზე — 5 კაპ. და პეტით — 4 კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს გამოგზავნილ სტატიებსა. დაუბეჭდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.



გამოდის კვირკობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით

ხელის-მოწერა ამ 1877 წლის

„დროებაზე“

მიიღება გაზეთის რედაქციის კანტორაში, სტ. მელიქიშვილის-სტამბაში (ბანოვის ქუჩაზე, ნაპ. ამატუნის სახლებში). შალაქს ვარეშე მცხოვრებთათვის უნდა დაიბარონ გაზეთი: ВЪ Типографіи конторы редакціи газетъ „Дроება“.

უასი	მთელი წლის გაზეთისა	მან.	კაპ.
მთელი წლის გაზეთისა	—	8	—
მქესი თვისა	—	4	50
სამის თვისა	—	2	50
მართის თვისა	—	1	—

ხვედრი უასი ბაზემის დაბარებისა-თანავე უნდა გამოიგზავნოს რედაქციაში.

ტელეგრაფები

ბაიაზეთი, 23 მაისს. ღერხლის ტერ-დუკასოვის ატრი-ბდი სოფ. ეკებალდინ მივიდა სურფ-ოღანესსა და კარა-კილისს შუა.

ქასაკ-იურთი, 23 მაისს. ბურთუნაის საზოგადოებაში ჩვენ-მა ჯარმა 200 კაცი დაატყვევებულა, რომელნიც ბურთუნაისა და ალმაისს აულებს აღელ-ვებდნენ. ორთავე ამ აულებიდან მცხოვრებლები უნდა გადასახ-ლდონ. ჰოლკოვნიკების ბატია-ნოვისა და ასატუროვის ჯარე-

ბი ამ აულებს ვარს არტუა. სალავათელები ჩვენი მთავრობის ეველა ბრძანებას ასრულებენ.

ვენა, 25 მაისს (6 ივნისს). ცე-ტინიედა იწერებინ, რომ გუ-შინ დიდძალი ჯარი ოსმალო-სა მარტინოვისაკენ წასულა, სა-დაც ორი საათის განმავლობა-ში ფიცხელი შეტაკება ჰქონათ ჩერნოგორიელებთან. დამარცხე-ბული ოსმალოები გაიქცნენ; იმათის მხრით 400 კაცი დაი-ხოცაო.

ლონდონი, 25 მაისს. რამ-დენიმე სომალდი ვაგზავნეს ოს-მალოებმა კანდიის კუნძულიდან

ალექსანდრიაში (ეგვიპტეში) იმ განზრახვით, რომ ეგვიპტეს ჯა-რები წამოიყვანონ იქიდან.

ოქის აზვები

პეტერბურლის ნემეცურ გაზეთში დაბეჭდილია სტამბოლიდან მიღე-ბული დეგეზა, რომელშიაც, სხვათა შორის, იწერებინ, რომ ტრაპიზო-ნის ფაშა ჩერქეზებსაგროვებს, ცალ-კე ჯარი უნდა შეადგინოს იმათგან და ახალციხისაკენ უნდა გამოგზა-ვნოსო.

სტამბოლიდან იწერებინ, რომ სულთანმა მოიხმო ოც-და-ხუთი კა-ცი ჩერქესის აფიცრები, რომელნიც ოსმალოეთის სამხედრო სამსახურში არიანო, და თითოეულ იმათგან ჩერქესების მოგროვება და ცალკე პოლკის შედგენა მიანდოვო. ამბო-ბენ, რომ ეს ჩერქესების ჯარი მცი-რე აზიის ბრძოლის ველისაკენ იქ-ნება გამოგზავნილი, ე. ი. პარსისა და ბათუმის დასაცველად.

ამას გარდა ამბობენ, რომ შამი-ლის შვილს მეჰმედ-ფენდის მინდო-ლობილი აქვს ჩერქესების კავალერიის შედგენა, რომელიც ქავკასიაში გა-საგზავნად არის დანიშნულიო.

ჩერნოგორიიდან მოვიდა ამბავი, რომ ეს პატარა სახელმწიფო არ გაერევა ომშიო, სანამ რუსების ჯა-რი ლენაზე არ გადავაო.

მაგრამ მეორეს მხრით, წარსულ „დროების“ ნომერში წაიკითხავდით

ტელეგრაფებს, რომელიც გვაცო-ბებდა, რომ ჩერნოგორიის მთა-ვარმა ნიკოლაიმ გადაწყვიტაო, რომ ახლაცე გაველაშქროთ ოსმალების წინააღმდეგო.

ღვევანდელი ტელეგრაფმა კი-დეც უფრო გვარწმუნებს იმაში, რომ ჩერნოგორია ახლაცე მიიღებს მო-ნაწილეობას ამ ბრძოლაში.

პარიჟში გავრცელებულია თურმე ხმა, რომ რუსები რუსიუკთან და ტურტუკისთან გადავლენ ლენაზე, დაიჭრენ ლობრუჯუს და ბოლგარისა და მერე თავის მორიგების პირო-ბებს წარუდგენენ ოსმალოეთსა და მკროპასაო.

რუსის ჯარების ლენაზედ მო-გროვების თაობაზე ერთს მენის გა-ზეთში შემდეგი ცნობებია დაბეჭდი-ლი:

შველავ უფრო რუსების ჯა-რებს ლენაზე ცუდი ტაროვები, წყალ დიდობა, უგზობა და უხილობა აბ-რკოლებს. ღღეს რა გამოადარებს აქეთკენ და როგორც იქნება დიდს შრომითა და წვალებით ხილს გასდებ-ბენ რომელსამე მდინარეზე და გზებს გააკეთებენ, ხეალ ვნახოთ, ერთი უშველგებელი წვიმა მოვიდა და წა-ლეკა ყველა ეს ხილები და გზა. მაგ-რამ, რაც უნდა იყოს, რუსებს თან-და-თან გამოჰყავთ ლენაის ნაპირებ-ზე ჯარები. მკოდნე კაცები მარწმუ-ნებენ, რომ ეს ჯარების მოგროვება ლენაზე მომავლის იენისის პირ-ველ რიცხვებამდინ არ გათავდებაო და მამა სადამე შესამჩნევ შეტაკებას მებრძოლთ შუა ჩვენ იენისის შუა

ფელტონი

ზაფხული და ზამთარი

— მშ! ახირებული კაცი ხარ, მე და ჩემმა ღმერთმა! რასაც იტყვი, იტყვი და იტყვი; აღარ იქნება შენი გადათქმა!... შეუბნებთ თუ საფხუ-ლი სჯობია ზამთარსაო, რატო არ გესმის? სამმა კაცმა რომ გითხრას — ბრმა ხარო, თუნდა არც იყვი, ჰო-თქო, უნდა სთქვა; ყრუ ხარო, რომ გითხრან, — ჰო-თქო, შენ უთ-ხარი.

— როგორც გინდათ; ჯაჰნაბას თქვენ და თქვენი საფხული! რაც ვნებადესთ, ის იყბდეთ, მაგრამ მე მაინც არა ვარ თქვენი თანახმა! ზოგ მღვდელი უყვარს და ზოგ მრევლის ცოლიო ზოგს ტყუილების შეფხ-ვა, ჰორებისა და დამპალ-დამპალი ამბების მოგროვება, დაკეცა და ბოლ-ჩაში გამოკერა უყვარს, ზოგს კი ამეების გავონებაც ეზიზღება; ზოგს დაბეზღებას, შპიონობას და ადამი-ანის დაზავებას, თუ შეუძლიან, არა ურჩიენია-რა, ზოგი კი ავიც რომ გა-იგონოს, კარგს იტყვის და სხე. აბა ეცადენით, თუ კარ ვაქყაცებო ხართ, და ამ გვარ ხალხს უწინააღმდეგეთ!

— არაო, გეტყვიან: ჩვენ ეს უფრო კარგ ხელობათ მიგვაჩნიაო, — მოგა-ხსენებენ. მეც ზაფხულს ზამთარი მიჩვენია და რაქენა, რა წყალში ჩაყარდე! ხო არ ჩამამახრჩობთ! ჩემი ნება არ არი? არა, რომელი ადა-მის, ან მესა შეილი დავიწუნებთ, თუ კაცი ხარ, ზამთარში თბილ სახლში მოლულუნე ბუხრის წინ ჯდომას საყვარელთან, რომელიც ტუჩების კვნიტით და კაეების მალ-მალ სწო-რებით, ან ულვაშების გრებით და სხვა და სხვა მანერებით ქვე-ქვემ გამოგყურებს და ტკბილი ღიმილით თაეს უფრო და უფრო გაყვარებს! რა სჯობია იმას, რომ გარედამ ქა-რიშხალი ზუზუნით და შუვილით გემუქრებოდეს შენ კი ხელში დო-ქი გეჭიროს და გიყურათ „ნინუცი-ჯან, შენი ქება, რომ არა ესთქვა, არ იქნება“-ს ღრიალებდე?!

— სცდები, შენმა დაბერებამ! სტყუი, მენმა ვაზდამ! შევლა ესე-წი ზაფხულში უფრო კარგი და სა-სიამოვნო არ არის, რომა მწვანე-ზედ ჩრდილის ქვეშ მოკეცილი, მხარ-თეძოზედ წამოწოლილი მთვა-რესა და ვარსკვლავებს უჭკრეტდე? და ფოთლების ჩუმ შრიალს ყურს უგდებდე და სტკებოდდე! აქეთ ბად-რი მთვარე იყვს მოწამე შენი მხი-

არულობისა და იქით ვარსკვლავები ამას კიდევ სჯობია-ლა რამე?

— მე ხო ვგერა, მაგრამ იცი, ის ვარსკვლავები რო არიან, რა ამბებ-ში ჩადიან? მართი და ორი რა თვალ-წარბში შეგეცქერის და თვა-ლებს გიყუტავს, სამი და ოთხი იცი ჩუმ-ჩუმით როგორ უფსკრულ სა-მარეს გიმზადებენ? რომელი ვარს-კვლავია, რომ კეთილის თვალთ უყურებდეს და შეუტოდებელი ბა-გით უღიმებდეს ადამიანს, და რო-მელი ადამიანი, რომ ბედნიერი და ერთგული ვარსკვლავი ჰყავდეს?... შრთლები რო ერთმანეთს ჰკოცნი-ან და ჩურჩულობენ, იცი კა, რას საიღუმლობენ? სულ გატყუვილე-ბენ, თვალებს გინვევენ და სულ შენ სამღურავსა და ლანძღვა-გინე-ბას ეჩურჩულებიან ერთმანეთს.

— რას ამბობ, რასა! რომ ზაფ-ხული სჯობიან ზამთარს, ეს იქი-დამაც სჩანს, რომ რაც რამ კარგია, სულ ზაფხულს შეჭხარის! მაგ, ბულო-ბული და მერცხალი ხო ყველა ფრინველებს სჯობია და ვარდი ყვე-ლა ყვავილებს? რატო ესენი ზამ-თარში კი არ არიან, თუ კარგი იყ-ვეს უკანასკნელი?

— მართალია, ვალობით ბულ-ბული და მერე მერცხალი სჯობია

სხვა ფრინველებს და სილამაზით და სუნით ვარდი ყველა ყვავილებს; მაგრამ, სწორე უნდა მოგახსენო, მე არ მომწონს ისეთი ვინმე, რომელიც ღღეს და ხეალ შენია, ხეალ და ხეალ-ხევით კი სხვისა ვანდებ! ღღეს რა შენთან მოვიდე, ფარი-სველობა გავსწიო, სიყვარული გა-მოგიცხადო, თავი შეგაყვარო, ბევ-რი სიტკბო და სიხარული გიჩვენო, შეგფიცო, რომ შენთანა ვარ და შენი ვარ-მეთქი, და ეს ხეალ ყვე-ლაფერი ჩაგამწარო, უსაყვედუროთ ხელიდან გავიტურდე, წიხლი ჩაგა-ზილოდ მოგშორდე; ესლა სხვაგან და სხვასთან წავიდე, ამასაც ვგერე მოვე-ლაქუცო და უქვე-ქვეშაო, მერე კი-დე შენთან მოვიდე, მერე კიდევ იმას-თან; ერთი სიტყვით, ღღეს აქ ვიყვი, ხეალ იქა ღღეს შენი და ხეალ სხვი-სა, — ისა სჯობია, თუ მუდამ შენთან და შენი ვიყვი? მართალია, ღღეს რა მოვალ, ბევრ დიდ სიამოვნებას გაჩ-ვენებ, აუარებელ ტკბილ სიტყვებს გი-ჭიკჭიკებ, დროებას საუცხოვოთ გაგა-ტარებანებ, სხვებზედ კარგ საქმეს გა-გიწვი, — მაგრამ თავსლაფი დავადე და დიდი უშველგებელი ქოქოლა და მენი დავაყარე იმისთანა საქმის და-წყებას და იმ გვარ კაცსაც, რომე-ლიც ბოლომდე სწორეთ ვერ გავა,

რიცხვებამდინ არ უნდა მოველოდეთო“.

მცირე აზრის კორპუსის უფროსის მუხთარ-ფაშის გამოცევის მიზეზი, როგორც ამბობენ, ის იყო თურმე, რომ მუდამ ტყუილ მოხსენებას იწერებოდა სტამბოლში თავის ჯარისა და ომიანობის თაობაზე; მუდამ იწერებოდა, რომ ამა-ღამ ალაგას დავაპარცხეთ ჩვენ რუსის ჯარებო, ჩემ ხელ-ქვეით 66,000 კაცი არისო და სხვ. შეველა ეს ამბები ტყუილი გამომდარა; სხვათა შორის, ამბობენ, რომ მუხთარ-ფაშას არზრუმის არმიის სულ 31,000 კაცი ჯარი ჰყვანდაო. ამას ამბობენ, მაგრამ უმთავრესი მიზეზი მუხთარ-ფაშის დათხოვნისა და სამართალში მაცემისა კი არტანის დაკარგვა უნდა იყოს.

შევიტყუებამ (ძაირად) იწერებინ, რომ მოკლე ხანში ჩვენ რამდენსამე მსმალოს ჯავშნიან ხომალდს მოველითო, რომლებზედაც უნდა დასდნენ შევიტყუებში შეკრებილი ჯარი და ბრძოლის ველზე უნდა წავიდნენ მსმალოს ჯარების დასახმარებელადო. ღღევანდელს ტელეგრაფებში წაიკითხავთ, რომ აქ მოხსენებული ხომალდები მართლა წასულან ამ განზრახვით შევიტყუესავენ

ზამოცხადებულთა შმალღესი ბრძანება, რომლის ძალითაც, არტანის აღების დროს ჩინებული მხნეობისა და განკარგულების გამოჩენისათვის, ღენერალ-ადიუტანტს ლორის-მელიქოვსა და ღენერალ-ლეიტენანტს ღვეელს მიეცემა წმ. შიორგი ჯვარი მესამე ხარისხისა და ღენერალ-ლეიტენანტს ზეიმანს აღმასებით მოქედლილი ხრმალი ზედარწერით „მხნეობისათვის“.

შრთი ინგლისური გაზეთის კორესპონდენტი იწერება სტამბოლიდამ, რომ სულთანის პროკლამაციამ, რომლითაც იმან ძავეკასიაში გასაგზავნ ჩერქესის ჯარს მიმართა, დიდი აღტაცება მოახდინა ამ ჯარშიო; ისი-

რომელიც შუა გზაზედ გამრუდდება! საქმე ბოლოა, თორემ თავს ყველა მოაბამს; საქმე და ბიჭობა გათავება, თორემ დაწყებით ხო ყველაყა დაიწყებს! სახლის საძირკველი დაგიდგა, ცალი კედელი აგიშენო და მერე თავი გაგანებო, — გინდა გაუკეთე სხვა კედლები და დახურე, გინდა თავში ქვა ისეთქე-მეთქი, რო გითხრა, როგორობა იქნება? ნავში ჩაგვა, შუა ზღვაში შეგატივტივო და მოგშორდე, რა კაცობა იქნება? მერე გახლავს შენი ბულბული, მერცხალი და ვარდიც! მე ბედურა და სკვინჩა მირჩენია შენს ბულბულს: ის საწყალი ბედურა, რომელიც სიკვდილამდე შენია, თუნდა სცემო, მაინც ამბობს, შენი ვარო! აბა, ერთგული ბედურა სჯობია, თუ ცუდლუტი და ამპარტავანი ბულბული, ან მერცხალი, რომლებიც გატყუილებენ და გათამაშებენ? რომლებიც მარტო ორ ღღეს გიცქერის და მერე გშორდება? მარდიც მარტო ღღეს გწყალობს თავისი მდიდრული გარეგნობით, ხვალ კი სხვისაა! მე ბზა მირჩენია, — ის ბზა, რომელიც ზამთარ-ზაფხულ, მუდამ ერთგულობას და ერთ-ფერობას იჩენს!

— მაშ, შენი ჭკუით, ზამთარი

ნი ამბობენო, რომ ხონტქრისათვის და ჩვენი დაჩაგრისათვის რუსებს თავს შევაკლავთო. ხონტქრის თავის საკუთარი ჯიბიდან 20,000 რეველვერი უყიდნია და ჩერქესებისათვის დაურიგებია.

მამში დაჭრილებისა და ავათყოფი მხედრების მზრუნველი საზოგადოება მსმალეთისა ჩივილს აცხადებს რუმინელებზე, რომელთაც ძალაჭატიდამ ყუმბარები დაუშინეს მიდინის გომპიტლებსაო, საცა ჩვენი დაჭრილი და ავათყოფი მხედრები იმყოფებანო.

მუღაუთილამ მოსულებმა გეითხრესო, სწერენ „თვ. მოამბეში“, რომ მსმალოს ჯარი ისე მსწრაფლად და მოულოდნელად გამოვიდა ზღვიდამ ხმელეთზედო, რომ ვერაფრის წამოღება ვერ მოვასწრეთ და ჩვენც ძღავს მოვასწარით გამოქცევო.

ამავე გაზეთში შოთილამ იწერებინ, რომ ამ ღღევში მსმალოს ერთი ჯავშნიანი ხომალდი შეკვეთილის პირ-და-პირ, ნაპირიდან 7-ს ვერ-ზე, გაჩერდაო, ერთი ნავი ჩამოუშვა ზღვაშიო და ამ ნავში მსხდომნი ზღვის სიღრმეს ზომავდნენო.

### საქართველო დღიური

ჩვენი ოფიციალური გაზეთი „ძავეკაზი“ გვაცნობებს, რომ ღ. მ. ძავეკასის ნამესტნიკს, რომელიც 24 მარს წაბრძანდა აქედამ აღესანდრაპოლისაკენ, ზაიმის ბანაკში, თან გაჰყვენ: თავის შვილი ღ. მ. ნიკოლოზ მიხაილის ძე, შტაბის უფროსი ღენ.-მაიორი პავლოვი, ღენ.-მაიორი ტრუბეცკოვი, ორი ადიუტანტი და დოქტორი პლობანუსი.

რუსულს გაზეთში „ახალს დროებში“ დაბეჭდილია ღარუბანდიდამ მიღებული კორესპონდენ-

კარგია, რომ დატყვევებულიეთ მუდამ ოთხ კედელ შუა იჯდე, თუ ზაფხული, როცა გაივლ-გამოვილი, ერთმანერთში მიხვალ-მოხვალ, იქეიფებ და დროებას ვაატარებ?

მერწმუნე, რომ ესლა ისა სჯობია და ვურჩევ ყველას, რომ თავის სოროდამ თავი არ გამოყოფ, თორე!... „გავლა-გამოვლა და ქეიფები“ რო დაგინიყებია, შე დალოცვილო, იმას კი აღარ ფიქრობ თუ ვისთან უნდა გაიარ-გამოიარო და იქეიფო! მსლანდელ დროში აღამიანს კარზედ არ გამოვსვლება, არა, — ვერ გაიგე? ძაცთან აღარ გაივლება, არა! ზამოცდილებამ მაინც აღარ დაგანახვა ყველაფერი! სხვანაირი ხალხი გახდა! ცოლმა რო ქმართან გაიაროს, დასცინებენ და ნათლიდელა რომ ნათლიასთან, ათასნაირს ჭორებს მოუგონებენ. როცა ვისმესთან გაივლი, რაიმე, ან ავი, ან კარგი, უნდა უთხრა, განა? მაშ ხო ვერ დამუწჯდები! თუ რამე უთხარი, იმასაც ის უნდა: ერთი რაიმე დაგცდება მაგ დაუდგრომელ ენიდამ, ამას ის ყურს მოჭკრავს და მშვიდობით! თვალის დახამხამებამდი მთელ მსოფლიოს მოივლის ის შენი სიტყვა! მერე როგორი შეცვლილი: შენ რო ერთი სთქვი, ის

ცია, რომელიმაც სრულებით მოულოდნელ და ძნელადც დასაჯერებელ ამას ვკითხულობთ, რომ აქეთკენ, ღარუბანდინ ახლო-მახლო სოფლებში ხელ-ახლად დაიწყო ხალხის ღელვა და ზარზან სოფელს ბერსში დაიჭირეს სოჭტებისაგან მოტანილი რამდენიმე ზარზანნიო.

ზემოხსენებულსავე გაზეთში იწერებინ მკატერინოპოლიდამ, რომ აქ მოიყვანეს ამ ღღევში მსმალოს ხუთი შვიონიო. ამბობენო, რომ ამათი განზრახვა ის იყოო, რომ შტაბანის მთიულები აეჯანყებინაო.

პიატიგორსკილამ კი იწერებინ, რომ აქეთკენ სრული მშვიდობიანობა არისო; აქაურმა კამენდატმა უ. საჭაროვმა ყველგან განცხადება გაგზავნაო, რომ ვისაც წყლებზე მოსვლა ჰსურს, ნურასი ეშინიანო, მშვიდობიანობა სუფევსო და სხვ.

ს. პეტერბურლის ღუბერნიის სასწავლებელთ მზრუნველს ყველა ამ ღუბერნიის გიმნაზიების დირექტორებისათვის მიუწერია, რომ ყოველთვის, როცა ისინი რომელსამე შაგირდს გამოარიცხვენ გიმნაზიიდან, შეატყობინონ იმას და თან დაწერილებით აცნობონ აგრეთვე ის მიზეზები, რომლის გამოც შაგირდი გამოარიცხული იქნაო.

რალა თქმა უნდა, რომ ეს ჩინებული განკარგულება და ჩვენ ვინატრით, რომ ამისთანა წესი დაედგინოთ ჩვენს გიმნაზიებშიაც...

სიღნაღიდან გწერენ: „ამას წინათ თქვენს გაზეთში იყო მოხსენებული, რომ სასამართლო კანონებს თარგმნის ერთი სასამართლოში მსახური პირი ნიკოლოზ ზამრეკლოვი და მალე დაბეჭდას აპირებსო. ღღეს სრულად დაბოლოვა უ. ნ. ზამრეკლოვმა თავისი მძიმი და ფრიად ნაყოფიერი შრომა და თუილის ემზადება იმის გამოსაცემათ.“

ათად და ათასად გახდა, „გაფსხვილდა“, აქეთ-იქით უშველებელ-უშველებელი ბეწვიანი კულები გამოება; ეს კულები შხამიან წუმპეში ამოიგანგლა და გაიჟღენთა; წავიდა აქეთ-იქით, გაიქნივ-გამოიქნივა კულები და მთელი ქვეყანა მოხიბლა. ასტყდა ერთი ალიაქათი! წადი და დოს დაუწყე ტელეპა! წადი და უსაყვედურე იმას, რათ მომიგონე ტყუილები, როდის გითხარი ესეთი რამეები-თქვა? რათ ააყაყანე ქვეყანა-თქვა? „რა ვქნა, ქვეყანას ხო პირს ვერ მოუკრავო, — გეტყვის, — ამბობდნენ და ვთქვიო!... აი, ხო ხელდაე! არავის არ უნდა, ენდო, არა! თუ არ ენდობი, არავის არაფერი არ უნდა უთხრა; თუ არ ეტყვი, არავის არ უნდა დაელაპარაკო; თუ არ დაელაპარაკები, არავისთან არ უნდა გაიარო; თუ არ გაივლი და ფანჯრიდამ თავი არ უნდა გამოჰყო, კარებზე ფეხი არ უნდა გადადგა; თუ არ გადაადგამ, შინ უნდა იჯდე; თუ შინ დაჯდები და ზამთარში შინ ჰყოფნას რალა სჯობია? ხო განსოვს ის ღექსი, რომელსაც ერთი გულდაჩაგრული მწუხარებით გვიმღერიდა? ტყუილი როდი იყო, როცა ამბობდა:

„ღიდის სიამოვნებით უნდა მიგეგებნეთ ამ შრომის დაბეჭდას და გულითადი მადლობა შეგიწერეთ.“ ნ. ს. ზარეკლოვი

შეველია რომ ეს შრომა კაბიტალური საქმეა და რომ იმას დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა ექნება ჩვენში, სადაც ნიჭიერ და მახვილგონებიან მცხოვრებელთ ქართული დაჰვიწყებით და უცხო ენაც ვეღარ შეუსწავლიათ. ამისათვის თუ თანაგრძობის ღირსნი არიან ყველა გვარი „ჭიანურები“ შინაარსით უაზროები და ცარიელები, ფორმით პილწები და მახინჯები — უ. ზამრეკლოს შრომამ, როგორც ორივეს და სამივეს მხრითაც შეუდარებელმა, უნდა, თანაგრძობა კი არა, უხვი შეწირულობა გამოიწვიოს და ქვეყანაზედაც გამოვიდეს.“

ჩვენ მივიღეთ ძიზიყილამ შემდეგი შენიშვნა:

თითქო შერცხვა ამდენი ჩივილისა, საყვედურისა, ბოღმისა და მალა ხელების ტოტინისაო და გაბედა, როგორც იყო, წვიმამ მონათულა ძიზიყისა: 22 — 23 აპრილიდამ ვიდრე ამ თვის 20-მდი მუდამ თავთავის დროზედ, გაჭირების დროზედ, მოდის კარგი წვიმები, ე. ი. ისეთი, რომ დედამიწას გულში გაუჯდეს.

თქმა რა საქროა, ხალხი, უფრო მუშა ხალხი, საშინელ აღტაცებაში მოდის, დაკარგულ იმელს იბრუნებს და ბოღმით სავსე გულს შეღავათი ეძლევა. ზაყითლებულ და ჩამხმარ ბალახს მომწვანო ფერი და სინედლე დაეტყო; თითქმის გაფუჭებულ მოსავალის გამობრუნებას მოელოან.

ამდენი ხანის უწყვილობას აქაურები იმას აბრალებდნენ რომ „თუქურმიზაზედ წავთსა ხდიან, იმისი ფინთი სუნი ცამდე მიდის და მითვინ არ მოჰყავს წვიმაო!“ მართლმწერეთში ცუდი მოსავლის მიზეზათ რკინის გზის მატარებლის ლოკომოტივის ბოლი მიანდათ: „მაშინის ბოლი ტრუსავს ვენახს და პურსაო!“ ამბობდნენ. ახლა, მადლობა ღმერთს მიშინამ და წავთმა ცალის შეწამება თავიდან აიშორეს; მართლიდამ კარგ მოსავალს იწერებინ და აქეთკენ კიდე წვიმები მოდის. მაგრამ,

მხლა ის დრო დაგვიდგა, ძაცს ნულა ენდობითო; ძიპებიც გან-გან გაგვიდგა, გვითხრეს: „მერ გეძმობითო!“

×

ნაცვლად ერთგულობისა მრავლობს ორგულობაო; მრთ დროს შენი ნებისა ღღეს შენ გემუხთლებო.

×

სხადთ რო ძმს გიწოდებს, ჩუმთ მტრად გინდებო, და სამარეს გიშადებს, თუ რამ გაუხდებო.

×

პირში რო გაგიცინებს, ზურგს უკან გლატობსო; მრთ წილს გასიამოვნებს, ას წილს ჩაგაშხამებსო!

×

მხლა ის დრო დაგვიდგა, ძაცს ნულა ენდობითო; ძიპებიც გან-გან გაგვიდგა, გვითხრეს: „მერ გეძმობითო!“

თეოვ. ქანდელაკი

ძიზიყი, მაისის 20

სამწუხაროთ, ხშირად წვიმას ქარი მოსდევს ხოლმე, რომელიც თუ არ აენებს, არც მოამეტებულ ხერს და აყრის ყველში მყოფ ვენახს და სხვ.

„დროების“ კორექსიონი

თელავი, 21 მაის. მართა თვლილიდგან ახლათ მოსულმა თავადი-შვალმა მოგვიტანა თელავში ამბავი, რომ ამ ცოტას ხანში უ: აგალინი მობრძანდება სასამართლოების რევიზიისათვისაო.

ამ ამბავმა დიდი ალიაქოთი მოახდინა ჩვენს მსხვილს და წვრილმანს ჩინოვნიკებში: სტოლის-უფროსები და საქმის-მართლობები დაეტყველნ თავ-თავის სტოლის საქმეებსა და ცდილობენ გასერილის საქმეების წმინდათ გამოჩენას. ძველი ჩინოვნიკები, რომლებსთვისაც „რევიზია“ პირველი მაგალითი არ არის, უფრო გულგრილათ ეკიდებიან თავის შესახებ საქმეებს; ნეტავი გაუფრებინათ იმ პირების ფაცა-ფუცისათვის, რომელნიც ახლათ არიან განწესებულნი და რომელთაც არა თუ ჯერ „რევიზია“ არ უნახავთ, არამედ თავის თანამდებობის წესიც არ იციან.

მიხეოდ - მოხედეს და ჰპოვეს თავის გამოსაძერწათ, რევიზიის დროს, უკანასკნელი ღონისძიება: მიჰმართეს იმ მწერლებს, რომლებიც მსახურობენ ოც-და-ათ ათი წელიწადი და აღუთქვენ მათ თითო სერთუკის და შარვლის ჩაცმევა და კიდევ ამას გარდა, თუ მშვიდობით გადაწყდება ეს ალიაქოთი, აღუთქვენ ორორის თუნგი ღვინოც.

შეზღის სამმართველოშიაც გაცხარებული მუშაობა აქვსთ დღე და ღამ და იმისი ბობოლაც, რომელიც აქამდის გვიან და ხან სულაც არ დაიარებოდა თავის თანამდებობის მოვალეობის აღსარულებელად, ეხლა დიდიდგან დაწყობილი ნაშუადღევის სამს საათამდის აღარ ჰმორიდება თავის კანცელარიას და ხშირათ ღამეც შედის და ამხნევენს ჩინოვნიკებს.

ამბობენ, რომ მომრიგებელ სასამართლოში უფრო ბევრს უწესობას ნახავს რევიზორიო. მაგრამ დასაჯერებელია ეს ხმა? ნუ თუ ამდენს მოსამსახურე პირებს არ შეუძლიან ყოველი საქმე რიგინათ შეამზადონ „რევიზიამდის“? აქ ხომ ჩინოვნიკებს გარდა, ცხრა თუ ათი მწერალი ჰყავთ. მაგრამ აი რას ამბობენ: სხელათ მწერლები არიან და საქმით კი არა-ფერიო: ზოგნი, ვისაც კალმით ჯღაბნა უსწავლია, სულ არზებას სწერსო; ზოგნი ანბანის წერაში ეხლა იმართებიანო; ზოგნი იასაულებების თანამდებობას აღსრულებენ, როდესაც უკანასკნელნი არ არიან ადგილობრივ; ზოგნი საქმეებში ქალაქებს აკერებენ, სხვა არა შეუძლიანთ რა და ხანდისხან ამ მოვალეობასაც რიგინათ ვერ აღსრულებენ და უწყებებს თავდაყირავებულს აკერებენ საქმეში, რადგან რუსულს ასოებს კარგათ ვერა სცნობენო და სხვ.

თუ არასფერს მუშაობენ, ეს „მწერლები“, ტყუილათ რატომ სხედან სულშიო? — მკითხავთ. ზოგიერთი მათგანი სხედან სულში თავისის მშობლების სასახელოთ, რომლებიც ამპარტყენობენ ვითომც მათის „ჩინოვნიკობით“, და ამას გარდა ეს მწერლები ჰამა-სამაზედაც აღარ აწუხებენ იმათ და სამსახურის სახელით იკვებებიან სხვის სახლებში, აი

როგორ: მივიდა ვინმე სულში თავის საქმის გარემოების შესატყობად. ის, რასაკვირელია პირ და პირ მიდის სტოლ-ნაჩაღნიკთან, უფ. მ — ძესთან, და სთხოვს მისცეს მას „სპრავეკა“; ეს შეუბღვერს და ეტყვის: „მე შენთვის არა მცალიან!“ მთხოველი მიდის მწერლებთან, მაგრამ ეცენიც პირველად არ აკმაყოფილებენ მას; ცოტა ხანს შემდეგ გამოდის ერთი მწერალი-განი და მთხოველს რაღასაც ეუბნება ყურზედ ჩუმათ და რაკი გაათავებს მასთან საუბარს და მიიღებს მისგან პასუხათ „ბატონი ბძანდები,“ უპირის საქმეს, მისცემს სპრავეკას და სადილიც მზათ არას... შემხედავთ და ხუთი ან ექვსი ცრუ-მწერლები გიხვლებიან სადმე ღუქანში მთხოველის ხარჯზედ პურის საქმელად. ან-კი როგორ გავამტყუნო ამაში ესენი: სახლსა და კარსა სცდებიან, ჯამაგირები ამათ არა აქვსთ და თუ პურიც არაიან აქამა, ბევრჯერ მართლი დღე მშვივრები არიან! ამბობენ, რომ ერთს მათგანს კი თვეში ხუთი მანეთი აქვს ჯამაგირიო, რადგანც საქმეების პოვნა შეუძლიანო. თუ ასე იაფათ უჭერიათ მწერლები, მაშ იმედია ყოველ წლივ გადაჩიება რადენიმე თუხანი იმ ფულებიდან, რომელიც არის დანიშნული ხაზინისაგან მწერლების დასაკავებლათ...

ნეტავ დავრჩებოდე თელავში „რევიზორის“ მოსვლამდის და მეყურებინა სუდიელების ფაცხა-ფუცისათვის...

მგზავრი

უცხო ქვეყნები

ოსმალეთი

სტამბოლის არეულობის თაობაზე უკანასკნელმა ფაქტამ შემდეგი ახალი ამბები მოგვატანა:

როგორც ხანს, არეულობის მიზეზი რუსებისაგან არტაანის აღება ყოფილა. ბავარდნილა თუ არა სტამბოლში ხმა, რომ არტაანი აილორუსის ჯარმაო, იმწამსვე ქალაქში რაღაც უჩვეულობრივო მოძრაობა დაწყებულა. 12 (24) მაისს რამდენიმე დროებით სტამბოლში მყოფი არტაანის მცხოვრებელი მისულა პარლამენტში და გამოუცხადებიათ, რომ მცირე აზიაში საზოგადოთ ძალიან სუსტათ და უთაურად მიდის ჩვენი სამხედრო საქმეებო, ვთხოვთ მთავრობასაო, რომ ამ საგანს განსაკურებული ყურადღება მიექციოსო და სხვ. პალატამ მოისმინა ამ დეპუტაციის სიტყვა და მმართველობის მხრით დაჰპირდა იმათ, რომ თქვენს მოთხოვნისაგან ყურადღებაში მივიღებთო, ხონთქარს ვაცნობებთო.

მაგრამ, რადგან მთავრობა არავითარ განკარგულებას არ ახდენდა, შემდეგ სოჭტების არეულობაც დაიწყო. ახლა აღმოჩნდა, რომ მმართველობის მოწინააღმდეგე პარტიადიდი ხანია მზადებაში ყოფილა თურქმე: მთელს ოსმალეთში ჰყოლიათ თავის კაცები, პოლიციას თოფიარალი უნახავს ბევრგან და ამათ განზრახვა ის იყო და არის თურქმე, რომ ახლანდელი სულთანი აბდულ-ჰამიდი გადააყენონ და მის ნაცვლად დროებით ოსმალეთის ბედის გამგებელად (დიქტატორად) მიტყზად-ფაშა დააყენონ. მთავრობას დაუტუსალებია, სხვათა შორის, სტამბოლში ადრინდელი ლუბერნატორი ტულჩისა იხმაილ-ბეი, რომელიც, როგორც ამბობენ, მოჯანყების მოთვე იყოო.

ამბობენ, რომ, როცა აბდულ-ჰამიდი პირველად დაინახა თავის საახლის წინ მოგროვილი აუარებელი ხალხი, რომელიც ჰყვიროდა: „ძირს სულთანს! ბაუმარჯოს მიტყზად-ფაშას!“ — ისეთიარად შეშინდაო, რომ იმ წამსვე სალდათის ტანისამოსი ჩაიცვა, ჩუმათ გაიპარა საახლიდან და თავის საზაფხულო სასახლეში დაიმალოა.

საბერძნეთი

პოინილამ იწერებინ, რომ პირეიში ოსმალეთის ფლოტის ყოფნას ის მნიშვნელობა აქვსო, რომ საბერძნეთი დაათხოვოს და რუსეთსა და ოსმალეთს შუა ბრძოლაში გარევა არ გააბედინოსო. თვითონ საბერძნეთის მმართველობას სრულებითაც არ უნდა ამ ომში მონაწილეობა მიიღოსო, მაგრამ ხალხი ძალას ატანსო, უეჭველად ომის გამოცხადებას თხოულობსო; ყოველ შემთხვევაში მმართველობა აგროვებს ჯარებს და ოსმალეთის სამხედროსაკენ აგზავნისო. წინანდელი ნოპრის ტელეგრამებშიდამ შეიტყობდით, რომ ახალმა (მუხურდურეთის) სამინისტრომ გამოაცხადა, რომ საბერძნეთი მზათ უნდა იყვესო, რომ დღე-დღეზე ბრძოლის ველზე გაეიდესო.

ორი სასწავლებელი

(„დროების“ მე-36 და 37 ნომერში დაბეჭდილის „მასწავლებლის წერილის“ გამოისობით)

წარმოიდგინეთ, მკითხველნო, ორი სასწავლებელი, რომლებიც თავიანთი გარეგანი და შინაგანი წყობილობით და მიმართულებით თითქმის სრულებით განიჩევიან ერთმანერთისაგან.

ერთ სასწავლებელში, რომელიც დაარსებულია სოფლის ხალხში და რომელიც ეკუთვნის ერთ ქართველ ქველ-მომქმედ საზოგადოებას, იმყოფება 60 შაგირდი და ორი მასწავლებელი. მართი ამ უკანასკნელთაგანი თვით მასწავლებელია და მეორე ამისი თანამემწე-აგრონომი.

მოსწავლენი წმინდა ქართველები არიან და, ღვთის მადლით, მასწავლებლებიც ქართველები არიან.

რაც ეს სკოლა არსებობს დიდი ხანი არ არის: სწორეთ ორი წელია. დაარსებდგანვე ჰყვანდა მას ის საამოცი შაგირდი, რომელნიც ეხლა აქა სწავლობენ და ის ორი მასწავლებელი, რომელნიც ეხლა აქ მოღვაწეობენ.

არის ორი გზა ჩვენი ეხლანდელი ადგილობრივი სასწავლებლის სწორ და მკვიდრ გზაზე დაფუძნებისათვის: ერთი განლავსთ მატერიალურათ ყოველისფრით სკოლის მაწყოება და მეორე ამ სასწავლებლის იმ ჰედაგოგიურ მოთხოვნისაზე დაფუძნება, რომელიც გვაუწყებს:

ა) დაახლოებული საგნის შესწავლის შემდეგ უფრო მოშორებულ საგნების შესწავლას შეუდევით და

ბ) ადვილიდამ, მარტივიდამ უფრო ძნელზე და რთულზე გადადით.

ამ ორივე საქარო სახსრებით დაკმაყოფილებულია ეს სასწავლებელი. წარმოიდგინეთ წმინდა ორ კლასიანი, ნათელი და სამოცი შაგირდისათვის საკმაო შენობა, ბალკონით და პირით სამხრეთისაკენ. სკოლის წინ გაშლილია ერთ დესი-აქინამდის მიწა, რომლის მეოთხედის ტოლა არის სკოლის უკანაც. მთელი ამ სკოლის მიწა-წყალი წარმოგვიდგენს სწორ და გაგრძელებულ ოთხ-კუთხედანს, რომელიც შემოვ-

ლილია ლამაზი კედლით. სკოლის წინა კედლიდამ დაწყობილი დასავლეთისკენ და აღმოსავლეთისკენ გაყვანილია თვით მასწავლებლის სტადიებით მცენარის „ცოცხალი ღობე“, რომელიც ჰყოფს მთელი სკოლის მიწა-წყალს ორად: ერთი ნაწილი რჩება სკოლას ზემოთ, — ეს განლავს უკანა ეზო, (აქ ჩამოხტება ყველა ცხენზე მომსელებელი, აქვე შემოდის ურემიც, აქვე არის ბოსელიც, საჯინიბოც, შემის და ერთი სიტყვით ყველაფერი, რაც კი საჭიროა სახლობისათვის.), და მეორე უუდიდესი ნაწილი რჩება სკოლის ქვემოთ, — ეს განლავს საბალო, საბოსტნე და წინა საეზო ადგილი. სკოლის წინ გაკეთებულია ოთხ-კუთხიანი, კარგა ფართო, ლამაზი და წმინდა ეზო, რომელსაც აგრეთვე შემოვლილი აქვს ცოცხალი ღობე. ეს ეზო პირდა-პირ სკოლის წინ ცარიელია, თავისუფალია; მხოლოდ დასავლეთის და აღმოსავლეთის ამის ნაწილები, გარდაუქცევიათ მითომ ჰატარა მინდვრათ ტყეში, რომლის გულისთვისაც აქ ჩაყრილია 650 ყოველგვარი ტყის ხე და ბუჩქი, ნახევარ-ნახევარ არწიანზე თითო ეგზემპლიარი. აგრე ახლო იმისთვის ჩაუყრიათ, რომ ამათი ღეროები არ დასქელდნენ. ამ ჰატარა ტყის მინდვრებზე, გამართულია, გიმნასტიკა, გადასახტომი ორობები და გორაკები და სხვა-და-სხვა სათამაშო იარაღები. თვით ამ ჰატარა ტყის მალალ ნებზედ მიკრულია რამოდენიმე გაკეთებული ყუთები შამშებისათვის, ჩიტებისათვის. ამავე ტყეების გარშემო თქვენ დაინახავთ ხუთმეტ ფუტკრის გეჯას, რომლებიც წინ ბზუვიან ათასნი მფრინავი მუშაქნი.

წინა ეზოდამ თქვენ პირდა-პირ შეხვალთ სასწავლებლის ბაღში, რომელიც გაყოფილია ხუთ ნაწილათ: ერთი ნაწილი უჭირავს ყურძნის ვენახს, მეორე — ხილის ბაღს, მესამე თხილის ბაღს და მეოთხე და მეხუთე ნაწილები დანიშნულია საბოსტნე მცენარეებისათვის და საბალო სკოლისათვის. სკოლის ეზოს წინ მყოფი სამი ნაწილი სავენახო, ხილის და თხილის ბაღები განიყოფებიან ერთმანერთისაგან მშვენიერი სწორი ბილიკებით, რომლებს ნაპირებზედაც ჩაყრილია ვაზები ხეივინისათვის და ჩადგმულია მრავალგვარი ყვავილები და ტყილამ მოტანილი მცენარეები. ამ ორის წლის ვენახში ჩაყრილია შაგირდების მეცადინეობით და მასწავლებლის და აგრონომის ხელმძღვანელობით 1200 ვაზი. იმ ქვეყანაში, სადაც ეს სკოლა არსებობს, ამოტელა ვენახი იყიდება, ყურძნათ რომ გაიყიდოს, უკანასკნელ 10 — 12 თუშნათ გაჰყიდონ და ღვინო რომ დააყენონ, 15 — 20 თუშნათ. ხილის ბაღში ჩაყრილია სამოცამდის სხვა-და-სხვა ხეხილი; თხილის ბაღში ჩაყრილია სამოცი ძირი თხილი, რომლის თითო ძირი, რო გაიზდება, (8 — 10 წლის შემდეგ), მოიტანს 2 — 3 მანეთს, სულ 12 — 18 თუშანს. საბალო სკოლაში დათესილია და ამოსულია ასობით სხვა-და-სხვა ხეხილები და უბრალო ხეები: კაკლები, წაბლები, ვაშლები, მსხლები; მუხები, რცხილები, თელეები, ნაკერჩხლები და სხვ.

შველაფერს ამას სკოლა ხმარობს თავისი სოფლის გზების და ცარიელი ადგილების გასამშვენიერებლათ; აგრეთვე ღარიბი და საწყალი მცხოვრებლების ეზოებში, მამულებში ხეხილების გაშენებისათვის, და ყველაფერი ეს გაკეთებულია და ეხლაც

კეთდება 9-10 წლის ჩვენი ქართველი ბიჭების პატარა ხელებით!

ახლა გაიხედეთ უკანა ნაწილში: აქაც ესევე სიტუაციაა. მრავალი შინაური ფრინველი—ქათამი, ბატი, იხვი, ინდოური. შკოლის მასწავლებელს და აგრონომს, რომელნიც შკოლაშივე ცხოვრობენ, ერთად ჰყავს ერთი ფური და ერთი ფურკამბინი, რომლებიც თავიანთი ხბოვებით აქვე სძოვენ ნორჩ ბალახსა.

აი სრული გარეგანი მოწყობილობა ამ სასწავლებლისა. აქ ბავშვებს არც საქმე, არც სეირნობა, არც მოსვენება, არც სიამოვნება და არც არაფერი არ აკლიათ, აქ ყველაფერი საქმათ არის, რომ საქმათვე დააკმაყოფილოს ათასნაირი მოთხოვნები ბავშვის ცოცხალმა ბუნებამ.

არც შინაგანი მატერიალური მოწყობილობა ამ გარეგან მოწყობილობაზე ნაკლები. მრავალი გახლავს და ერთი პატარა კაბინეტი. ძლასები საკმარისათ დიდებია, თითო ოც-დაათი ყმაწვილისათვის. შანჯრები ბლომათ და ფართობები აქვს, რის გამოც აქ თავის დღეში, არც კარგ და არც ცუდ დარში, ყმაწვილებს არ აკლიათ სინათლე. ქედლებზე, ფანჯრების ზემოთ, დახატულია მრავალი ისტორიული სურათები, ამოღებული ჩვენი და უცხო ქვეყნების (შესანიშნავესი და საჭირო ისტორიული ფაქტებიდან).

ამას გარდა კლასებში ჰყავდა სურათები სხვა და სხვა ჩვენი სასარგებლო და მავნებელი მცენარეებისა, მწერებისა, ცხოველებისა და ფრინველებისა.

ძლასებში დგას ოც-დაათი კლასის სტოლი, თითო სტოლი ორი ყმაწვილისათვის. ამ შკოლაში სამ გარი ზომის სტოლებია: ცალკე სტოლები 8-10 წლის ყმაწვილებისათვის, ცალკე 10-13 წლის ყმაწვილებისათვის და ცალკე 13-16 წლის ყმაწვილებისათვის. ეს სტოლები იმით განიჩევიან სხვა შკოლების სტოლებისაგან, რომ ამათ ყუთები უკანდამ გაღებულები აქვს, ე. ი. ამათ ყუთებს უკანდამ არა აქვთ მიკრული ფიცრები, ასე რომ თქვენ ყველაფერს, რაც კი სტოლებში აწყვია, კარგათა ჰხედავთ.

შკოლას წინ აქვს კარგა ფართო და გრძელი ბალკონი. შავირდები ცუდ დროებში, იმის მაგიერათ, რომ ითამაშონ კლასებში და ამტვერონ იგინი, თამაშობენ აქ; ამას გარდა ეს ბალკონი ნებას აძლევს შკოლას,

წვიმის ანუ თოვლის დროს, როდესაც არც მუშაობა, არც თამაშობა, არც გიმნასტიკა, არც სეირნობა არ შეიძლება გარეთა, აგრონომს ყმაწვილები გიმნასტიკაში.

ჰველა ზემოთქმულს თუ დაუფიქტებთ იმ იარაღებსაც, რომელნიც საჭირონი არიან დეხმარონ უსაჭიროესი ბუნების მოვლინებების აღსნაში და საქმაო სახელმძღვანელოები—წიგნები, დაფები, ქალღი, კალმები, კარანდაშები,—ჩვენ ცხადთ წარმოვიდგენთ ამ შკოლის მატერიალურ წყობილობას.

პარტიზანი  
ზარი, 12 მაისს  
(ზაგრძელებს იქნება)

### განცხადებანი

ისყიდება დიდი ზვარი გუბრანის ახლო სოფ. დავალოში. ვისაც უიღვა სურს, უმუშლია დაწვრილებით, შვიტყოს „კავკასის“ სასტუმროში № 46, დილის 11 საათამდინ.

თფილისის პირუტყვთა ფვარკელის საზოგადოების გამგეობა სთხოვს ამ საზოგადოების დამწესებლებს და აგრეთვე ყველას, ვისაც საზოგადოების წევრობა ჰსურს, საწევრო ფული წარუდგინონ საზოგადოების ხაზინადარს უფ. სერგეევს, რომელიც იმყოფება ყოველ დღე თფილისის საურთიერო ქრედიტის ბანკში დილის 9 1/2 საათამდ ვიდრე დღეის 1 1/2 საათამდინ.

მისის იმპერატორებისთვის უშაღესობის ქვეყანის ნამესტნიკის ხსენაულის საზოგადოებას უაგუსტოვის მფარველისაგან დამტკიცებულის წესდებით, ნამდვილმა წევრმა უნდა შეიტანოს ყოველ წელიწადს 3 მანეთი ანუ ერთხელ 30 მან., საპატოო წევრმა ერთხელ 300 მან. ყოველ წევრს, რომელიც ერთად 30 მანეთს შეიტანს საზოგადოების ხაზინაში, უფლება აქვს მიიღოს და დაიკიდოს განსაკუთრებული ნიშანი (შეიღოს).

ვისაც ჰსურს უფრო გარკვეული და დაწვრილებული ცნობები მიიღოს ამ საზოგადოებაზე ან რაიმე წინადადება შეიტანოს, შეუძლიან მიმართოს საზოგადოების სეკრეტარს უფ. ტრესკოვსკის, რომელიც ორშაბათობითა და ხუთშაბათობით (10 1/2 დამ 2 საათამდინ) იმყოფება ცხე-

ნების ქარხნის გამგეობის სადგომში (ბოლოვინის პროსპექტზე, სარაჯოვის სახლებში), სადაც არის აგრეთვე ამ საზოგადოების გამგეობაცა. (3-2)

ბექდვიდგან გამოვიდა და ისყიდება მისთვის კარი

### „შარაგანიანი“

სოლოლაკზე ს. ზ. მელიქიშვილის სტამბაში; ატუკის ხილზედ პარიზის საწიგნო მალაზიაში.

ფასი 40 კაპ.

გამოვიდა ახალი ქართული წიგნი გვით-უნახავი ძალი

ისყიდება მწიფანჯიანის წიგნის მალაზიაში

ფასი 5 კაპ.

### თფილისის საზოგადოების გამგეობის განცხადება

1-სა იანვარს 1877 იყო:

წილის ფული	მან. კაპ. 176 50	მან. კაპ. 142
ზარალი	— — — —	10 84
დაჩხა:		
ნაღდ ფულად	— — — —	3 66
ინვენტარში	— — — —	20 —
ჯამი:	— — — — 176 50	ჯამი—176 50

### პირველი იანვრიდან პირველ მაისამდინ 1877 არის:

წილის ფული	მან. კაპ. 627 50	მან. კაპ. 561 60
სარგებელი დაქირებლი გასესხების და ახალი ელის	— — — —	37 25
მიცემის დროს	48 99	
დაბრუნება ნასესხის	217 —	
ჯარიმა	— — — — 46	
ჯამი	— — — — 893 95	ჯამი—598 85

1-ს მაისს 1877 წელს არის:

წილის ფული	მან. კაპ. 627 50	მან. კაპ. 561 60
წმინდა მოგება	— — — — 11 75	
ჯამი	— — — — 639 25	ჯამი—639 25

გამგებელი: ს. წერეთელი, მ. სესიოვი, ი. ზოდარელიძე. (3-2)

რ. მ. შ. ა.	დ. მ. შ. ა.	ს. მ. შ. ა.	II კ.	III კ.	სტოლის გეგმა	ფოტო	ბირჟა	მან. კაპ.	გაყანდა	მან. კაპ.
თფილისი	9 21	5 18			ა) შოთილამ მიღის:	ა) თფილისი დამ:	პეტერბურგი, 24 მაისს		თფილისი, 26 მაისს	
მცხეთა	10 11	6 27	68	38	მდისიკენ—ხუთშაბათს დილით.	საზღვარ გარეთ, მუთაისს, რუსეთს	მართი მანეთი ლირს:	78	შქ. თფ. ბანკისა, ფთ.	125
ზარი	11 58	9 43	2 40	1 23	სტამბოლს—კვირამდით, დილას.	—ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ.	ლონდონში 3 1/2 პენსი.	81	შქვილი წითელი.	110
ხაშური	1 29	11 57	3 92	2 18	ბ) მდისიკენ:	როსშ, მ. ზურგებს — პარასკ. და	პარიჟში 268 სანტიმი.	7 1/2	ქერი ფუთი.	75
სურამი	1 44		4 42	2 46	შოთისკენ—ხუთშაბ., ნასად. მსათ.	ზაბ. ბაქოს — ორშ. სამშაფ. და	მსკონტი(სარგებლისფასი)	96	ბაბა პრევისა, ფუთი.	5 50
ქვირილა	5 49		5 81	3 23	სტამბოლს—ოთხშაბათს, შუადღეზე	შაბ. ბაქეთს — სამშ. და შაბ.	ბანკის ბილეთი 5%	201	— ამერიკისა, ფუთი.	7 —
რიონი	6 47		6 75	3 75	შოთილამ:	თფილისისა და შოთისკენ—ყოველ დღე, კვირას გარდა.	მოგებინი(პირველისესხი)	192 50	ბაპენტილი ბაბა ფთ.	7 50
სამტრედია	7 41		7 73	4 29	I II III	მოგებინი (მეორე სესხი)	ბირაოს ფურცლები:		მატული თუშური ფთ.	6 —
პ. სენაკი			8 57	4 76	სოხუმამდი . 4 3 1	თფილ. საზნ. ბანკისა.	თფილ. საზნ. ბანკისა.	81	— თარაქამისა ფთ.	3 80
შოთი	9 40		9 75	5 42	ქვჩამდი . 20 50 15 50 5	ხერსონის ბანკის (5 1/2)	მოსკოვის (5%) . . .	90 50	პბრეშში ნუზური სტ.	2 —
					ტაგანროგ. 34 27 8 60	შოთისკენ—ყოველ დღე, კვირას გარდა.	პეტერბურგი (5%) . . .		ქონი, ფუთი.	6 —
					მდისსამდი. 38 30 9 60	შოთისკენ—ყოველ დღე, კვირას გარდა.	პეტერბ. საზღვევ. საზ.		ქონის სანთელი ფუთი.	6 —
						ბ) შოთისკენ:	პეტერბ. საზღვევ. საზ.		სტეარინის სანთელი, ფ.	12 —
						თფილისისა და შოთისკენ—ყოველ დღე, კვირას გარდა.	პეტერბ. საზღვევ. საზ.		ხორცი ძროხისა, ლიტ.	72 —
						შოთისკენ—ყოველ დღე, კვირას გარდა.	პეტერბ. საზღვევ. საზ.		— ცხვრისა, ლიტრა.	72 —
						შოთისკენ—ყოველ დღე, კვირას გარდა.	პეტერბ. საზღვევ. საზ.		სპირტი, ვედრო.	8 —
						შოთისკენ—ყოველ დღე, კვირას გარდა.	პეტერბ. საზღვევ. საზ.		შაქარი, შროც. ფუთი.	8 —
						შოთისკენ—ყოველ დღე, კვირას გარდა.	პეტერბ. საზღვევ. საზ.		— ფხვილი ფუთი.	7 20
						შოთისკენ—ყოველ დღე, კვირას გარდა.	პეტერბ. საზღვევ. საზ.		შავი გრგვალი, ფუთი.	28 —
						შოთისკენ—ყოველ დღე, კვირას გარდა.	პეტერბ. საზღვევ. საზ.		ხეთი ქუჩუთისა ფუთი.	7 —
						შოთისკენ—ყოველ დღე, კვირას გარდა.	პეტერბ. საზღვევ. საზ.		მქრო 1/2 იმპერიალი.	7 50